



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის



KA000016587002417

№ 1987

29 / ნოემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის
განსაზღვრის შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-15 მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-52 მუხლებისა და „საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ თეიმურაზ ჯერვალიძის დანიშვნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 ნოემბრის Nს-744 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად:

1.1 **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:** მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩინაშვილი;

1.2 **წევრები:**

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ილია ციციშვილი;

ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გიორგი ხვისტანი;

გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გიორგი პაპაშვილი;

დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო მრევლიშვილი;

ე) მოხელეთა დარგობრივი პროფესიული კავშირის წარმომადგენელი - ლალი ასლანიშვილი;

ვ) კომისიის მდივანი (სათათბირო ხმის უფლების გარეშე) - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მარიამ საბეიშვილი;

2. არაუგვიანეს 2017 წლის 1 დეკემბრისა საკონკურსო კომისიის მიერ განისაზღვროს კონკურსის პროგრამა, პირობები, კანდიდატის შეფასების ფორმები და ჩატარების გრაფიკი.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონულ სასამართლოში, ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

თეიმურაზი ჯერვალიძე

